ევროკავშირი საქართველოსთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 61 აგვისტო / 2025

მდგრადი მომავალი და ეკოკლუბები

განვითარება, რომელიც პასუხობს თანამედროვე დროის გამოწვევებს და უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას გრძელვადიანი პერსპექტივით, ასე განისაზღვრება მდგრადი განვითარება და სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა.

პროგრამა უზრუნველყოფს თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურის აგებას აჭარის ნახევრად ურბანულ დასახლებებში და 39 სოფელში. აღნიშნული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს შეუფერხებელ, 24-საათიან წყალმომარაგებას და წყალარინების სისტემის საიმედო, უსაფრთხო მომსახურებას. ეს ყველაფერი აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, რაც ასევე იცავს გარემოს და უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

აჭარის სოფლებში არსებული გამოწვევების წარმატებით მოგვარება მდგრადი განვითარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. თუმცა, ეს მხოლოდ ინფრასტრუქტურის მშენებლობით არ მთავრდება. გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია ცნობიერების ამაღლებაზე, განათლებასა და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობაზე. სწორედ ამიტომ, "აჭარის წყლის ალიანსმა" საპროექტო სოფლებში ეკოკლუბები დააარსა. განათლება მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია, რადგან ცოდნის გაზიარება და ახალი თაობების ჩართვა უზრუნველყოფს სისტემების სათანადო, მდგრად ფუნქციონირებას.

ეკოკლუბებში ახალგაზრდები მონაწილეობენ სემინარებში, სადაც ისინი სწავლობენ წყლის, როგორც მწირი რესურსის მნიშვნელობას. ასევე, წყლის ხარისხის მონიტორინგის პროცესებს, წყალმომარაგების სისტემების და სეპტიკური ავზების ექსპლუატაციის გზით ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესებს. იღებენ ინფორმაციას საპროექტო არეალში არსებულ ენდემურ სახეობების შესახებ.

მოსწავლეებისთვის ეკოკლუბები ახალი ინფორმაციის მიღების წყაროს და სხვა სოფლის თანატოლებთან ურთიერთობისა და ცოდნის უფროს თაობასთან გაზიარების შესაძლებლობას წარმოადგენს.

აჭარის მაღალმთიან სოფლებში კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნა არსებული პრობლემების გადაჭრისა და მდგრადი მომავლისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. შემდეგი ეტაპი ახალგაზრდების განათლება და სისტემის სათანადო მოვლა-პატრონობის ჩვევების გამომუშავებაა, ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს "აჭარის წყლის ალიანსი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.

Funded by the European Union

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 61 **August / 2025**

SUSTAINABLE FUTURE AND ECO CLUBS

Development that responds to the challenges of modern times and ensures the well-being of society with a long-term perspective is how sustainable development is defined: the very principle on which the Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program is based.

The program is constructing modern communal infrastructure in semi-urban areas and 39 villages in Ajara. This infrastructure provides uninterrupted, 24-hour water supply and reliable, safe wastewater services. This improves the quality of life for the population, protects the environment, and ensures the rational use of natural resources.

Successfully addressing the current challenges in Ajara's villages is the first step toward sustainable development. However, it does not end with the construction of infrastructure alone. Long-term success depends on awareness, education and active community participation. That is why the Ajara Water Alliance has established Eco Clubs in the Program areas. Education is the cornerstone of sustainable development because sharing knowledge and involving new generations ensures the systems' proper, sustainable operation.

In the Eco Clubs, young people participate in workshops where they learn about the importance of water as a scarce resource, water quality monitoring processes, water supply systems, treatment of wastewater by the operation of septic tanks, and endemic species in the project areas. For students, the Eco Clubs are a source of new information and an opportunity to interact with peers from other villages and share knowledge with the older generation.

The establishment of communal infrastructure in Ajara's highland villages is the first step toward solving existing problems and moving toward a sustainable future. The next stage is educating young people and developing habits of proper system maintenance to ensure the infrastructure's long-term use.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.